საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზურაბაშვილი ზურაბ ავლიპის ძე

ზურაბაშვილი ზურაბ ავლიპის ძე (დ. 13. IV. 1938, თბილისი), ფსიქიატრი. მედ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1978), საქართვ. მედ. მეცნ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1997); საქართვ. ეკოლოგიურ მეცნ. აკად. წევრი (2004). 1962 დაამთავრა თსსი. 1965–71 მუშაობდა მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1972–89 ხელმძღვანელობდა ამავე ინ-ტის პათოფიზიოლ. ლაბორატორიას, 1984–96 – საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს ქრომატოგრაფიის ცენტრს; 1996-იდან არის მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ფუნქციური დიაგნოსტიკის ლაბორ. გამგე. ზ-ის სამეცნ. შრომები ეხება ფსიქიატრიის აქტუალურ საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. 6 მონოგრაფია, ავტორია 12 გამოგონებისა და 6 რაციონალური შეთავაზებისა.